ოქმი:**ო31. 3125213001**
თარიღი:**01/08/2025**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**
**ოქმი N11**

ქ. ლანჩხუთი

01. 08. 2025 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების(დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოიყო 7365000 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1107 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1600000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, რომლიდანაც მიიმართება დამცავი კედლებისა და გაბიონების მოწყობაზე 500000 (ხუთასი ათასი) ლარი, დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე 600000 (ექვსასი ათასი) ლარი, სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია მოწყობაზე 500000 (ხუთასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1105 განკარგულებით მიმიდნარე წლის თებერვლის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიის (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალრი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 220000 (ორას ოცი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1973596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 25 ივლისის N1187 განკარგულების საფუძველზე გამოიყო 60551 ლარი 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარლებული მოსახლეობის დროებითი განთავსების ხარჯების (ბინის ქირა) დასაფინანსებლად. (ორგ.კოდი 06 02 12).

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულებით განსაზღრული დელეგირების საფუძველზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები 469537 ლარის ფარგლებში, მიზნობრივი გრანტის ხარჯზე.

სამსახურების მოწოდებული წინადადებების საფუძველზე დამტკიცებული ბიუჯეტის

ასიგნების ფარგლებში უნდა განხორციელდეს დაფინანსების შიდა გადანაცვლება კერძოდ: შემცირდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების დაფინანსების მუხლი (020401) 600000 (ევსასი ათასი) ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 417800 ლარით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების ხარჯის არაფინანსური აქტივების(0208) მუხლი, 155980 ლარით გაიზარდოს სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების (010205) მუხლი, 26220 ლარი მიიმართოს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სოფელ ჩიბათში ვიზიტორთა შენობის ეზოს შემოღობვაზე, ამავე პროექტზე მიიმართოს 41280 ლარი კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების (050103) მუხლის დაფინანსების 41280 ლარით შემცირების ხარჯზე სულ აღნიშნულ პროექტზე მიიმართება 67500 ლარი. (ასევე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე მიიმართოს (გრანტის თანხა) 53299 ლარი ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობაზე, საბანკო გარანტიის თანიხს უკან დაბრუნება).

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების მუხლში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით პროექტზე მიიმართება სულ 291141 ლარი.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 3500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სპორტის ხელშეწყობის პროგრამა სხვა ხარჯების მუხლი 3500 ლარით.

კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში არაფინანსური აქტივების მუხლის 130000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ქალთა ფეხბურთის განვითარების (ორგ.კოდი 05 01 01 04) დაფინანსება 130000 ლარით (სესხის მუხლი 32.1.4).

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის შრომის ანაზღაურების მუხლის 165000 ლარით შემცირების ხარჯზე 150000 ლარით გაიზარდოს საქაონელი და მომსახურების მუხლი (კვება), 15000 ლარით სოც:უზრუნველყოფის მუხლი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 24) 16000(თექვსმეტიათასი) ლარით შემცირების ხარჯზე 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით გაიზარდოს „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 16); 1000 (ათასი) ლარით „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის

აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 18) .

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1005434 ლარი, მათ შორის ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაციაზე მიიმართება 80037 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართება 4213 ლარი, სულ პროექტზე დამატებით მიიმართა 84250 ლარი; სოფელ ხიდმაღალაში და სოფელ შრომისუბანში-მოედნის გზების რეაბილიტაციაზე მიიმართება 419963 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 22104 ლარი, სულ პროექტის ღირებულება გაიზარდა 442067 ლარით; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონების მშენებლობაზე მიიმართება 602807 ლარი, მათ შორის რეგ. ფონდიდან 505434 ლარი. კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდიის მუხლის 1700 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 300 ლარით შემცირების ხარჯზე, ამავე პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდოს 2000 ლარით.

აღნიშნული პარამეტრები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს წევრი.**

**მომხრე საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N 21 (01.08.2025).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. შესაბამისი ინფორმაცია კი გამოქვეყნებული უნდა იქნეს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ხსენებული 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია ის ობიექტები, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. მერიის მიერ განისაზღვრა ის ობიექტები, რომლებზეც სააგიტაციო მასალის გაკვრაა შესაძლებელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავი და გამოსაფენი ადგილებია:

1. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (თეატრიდან,საკადასრო კოდამდე 27.06.56.019 ) სკვერი;
2. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ჟორდანიას და კვირკველიას ქ. კვეთა ) სკვერი;
3. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (სუპერმარკეტ „ლიბრესა“ და „მარგის“ წინ) სკვერი;
4. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (კვირკველიას 16 გ) (ჟორდანიას და კვირკველიას ქ. კვეთა ) სკვერი;
5. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ცენტრალური სკვერი) სკვერი;
6. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (მერიის წინ მდებარე სკვერი) სკვერი;
7. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ყოფილი „უნივერმაღის“ მიმდებარედ) სკვერი;
8. გვიმბალაური (ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მიმდებარედ) სკვერი;
9. შუხუთი (ყოფილი კულტურის სახლის მიმდებარედ) სკვერი;
10. ჩიბათი (საჯარო სკოლის პირდაპირ) სკვერი;
11. მამათის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
12. აცანის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
13. აკეთის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
14. ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
15. შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
16. მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
17. გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
18. ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელი;
19. ლესის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
20. ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
21. ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
22. ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული ,მოსაცდელები;
23. ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
24. სუფსის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;
25. ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული მოსაცდელები;

26. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ელექტრო ბოძები.

ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა აკრძალულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: ბაგა ბაღების შენობა-ნაგებობებზე, საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, ა(ა)იპ-ების შენობა-ნაგებობებზე, საგზაო ნიშნებზე.

ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით:

ა) სკვერში არსებულ მწვანე ნარგავებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე;

ბ) გარე განათების ბოძზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი;

გ) მოსაცდელებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს ორი ცალი პლაკატი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს წევრი.**
**მომხრე საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა განკარგულება N 34 (01.08.2025).**

**ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**01** აგვისტო **2025** წელი
**12:00** საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესიკ ტაბიძე | 11:45 | |
| 2 | ემზარ თევდორაძე | 11:42 | |
| 3 | ვერიკო კვირკველია | 11:35 | |
| 4 | გიორგი ჩახვაძე | 11:55 | |
| 5 | გიორგი ხელაძე | 11:35 | |
| 6 | ალექსანდრე მახათაძე | 11:35 | |
| 7 | ზაზა წულაძე | 11:55 | |
| 8 | კარლო კვიტაიშვილი | 11:55 | |
| 9 | გიორგი იმნაიშვილი | 11:45 | |
| 10 | ია მოქია | 11:53 | |
| 11 | კახაბერ ასკურავა | | |
| 12 | მაკა მშვიდობაძე | | |
| 13 | ვლადიმერ ნანაძე | 11:45 | |
| 14 | კარლო წილოსანი | 11:58 | |
| 15 | ლოლიტა ურუშაძე | 11:55 | |
| 16 | ნინო მშვიდობაძე | 11:58 | |
| 17 | გოგი მორჩილაძე | 11:35 | |
| 18 | სპარტაკ კვაჭაძე | 11:36 | |
| 19 | გიორგი გოგუაძე | | |
| 20 | გოჩა ჯანაშია | | |
| 21 | ელისო ჭიჭინაძე | — | |
| 22 | რევაზ კვერენჩხილაძე | 11:48 | |
| 23 | კახა თედორაძე | 11:50 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | დარეჯან ბურჭულაძე | 11 | |
| 25 | ირმა მგელაძე | — | |
| 26 | გივი ცინცაძე | — | |
| 27 | ჯუმბერ ბლაგიძე | — | |